საქართველოს მთავრობის

დადგენილება № 426

2010 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 18 აგვისტოს № 143 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტს და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია** – ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი და ნედლეული, ცხოველთა საკვები, საკვებდანამატები, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები.
2. **ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია** – ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.
3. **ცხოველთა საკვები** – საწარმოო წესით მიღებული ცხოველთა საკვები.
4. **საკვებდანამატები** – ბუნებრივი ან სინთეზირებული ნივთიერებები, ნაერთები, რომლებიც გამიზნულად შეაქვთ ცხოველთა საკვებში მათი ორგანოლეპტიკური თვისებების გასაუმჯობესებლად ან შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად.
5. **ცხოველური წარმოშობის პროდუქტები** – დაკლული ცხოველებისაგან მიღებული ყველა სახის საკვები პროდუქტნედლეული: ხორცი, ხორცპროდუქტები, საწარმოო წესით მიღებული ძეხვეული და კონსერვები, სუბპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი და კვერცხი, თევზი და თევზეული, თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები.

მუხლი 3. სანებართვო საქმიანობის სახეები

სანებართვო საქმიანობის სახეებია:

ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია ტრანზიტის დროს (ნებართვა გაიცემა № 1 დანართით განსაზღვრულ სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებზე);

ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია იმპორტის დროს (ნებართვა გაიცემა № 2 დანართით განსაზღვრულ სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებზე);

გ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია იმპორტის დროს (ნებართვა გაიცემა № 3 დანართით განსაზღვრულ სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებულ ობიექტებზე).

მუხლი 4. ნებართვის გამცემი ორგანოები

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვისა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო) ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

მუხლი 5. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

1. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია და პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირთის დასახელებას, რაოდენობას, მოძრაობის მარშრუტს, მისი მიღების ადგილს, ხოლო ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში – თითოეული პარტიის რაოდენობასა და შემოტანის ვადას.

3. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას აგრეთვე უნდა ერთოდეს საბუთი პროდუქციის სახეობის, რაოდენობის, იმპორტიორი ან სატრანზიტო ქვეყნისა და ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ, ხოლო ბიოლოგიური და სამკურნალო პრეპარატების იმპორტისას – სარეგისტრაციო მოწმობა.

4. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი ნიმუშის შესაბამისი ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის ასლის წარდგენის საფუძველზე, ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მათი დამზადების ადგილზე კონტროლის განხორციელების გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პროდუქციის იმპორტი ხორციელდება იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ არის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“;

ბ) თუ პროდუქცია წარმოშობილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიასა და ისრაელში;

გ) თუ პროდუქცია წარმოშობილია საწარმოებში, რომელთა ნუსხა, დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გარანტიების საფუძველზე, დამტკიცებულია ევროკომისიის სამართლებრივი აქტით (ევროკომისიის ვებგვერდზე მითითებული ქვეყნების და პროდუქციის ჩამონათვალის გათვალისწინებით);

დ) ცირკის, სამხეცის, ზოოპარკის, სპორტულ და საგამოფენო ღონისძიებებში მონაწილე ცხოველების იმპორტისას, ასევე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, ცოცხალი ცხოველების იმპორტისას, მათი სახეობების საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებაში აღდგენის (რეინტროდუქცია, რესტოკინგი) მიზნით.

5. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“ არსებული ქვეყნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი ნიმუშის ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე, მხოლოდ ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მათი დამზადების ადგილზე გაწეული კონტროლის შედეგების მიხედვით. აღნიშნული საწარმოებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის მიზანშეწონილად მიჩნევისას, ამ საწარმოდან იმპორტი შეიძლება განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში (რისკის ანალიზის საფუძველზე), თუ ეროვნული სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს დამატებითი ინსპექტირების ჩატარებას, შესაძლებელია მისი განხორციელება ამ პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ქვეყანა ისევ რჩება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“, იმპორტის ნებართვა გაიცემა განმეორებითი კონტროლის საფუძველზე.

6. საქართველოს გავლით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქვეყნებიდან არ საჭიროებს ნებართვას და ხორციელდება მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული საერთაშორისო ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“ არსებული ქვეყნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საგარეო-ეკონომიკური საქმინობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული 01 ჯგუფის საქონლის (ცოცხალი ცხოველები) ტრანზიტი ხორციელდება მაძიებლის მოთხოვნით ნებართვის გაცემის

საფუძველზე ან/და უამისოდ, მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი საერთაშორისო ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის და მიმღები ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე წერილობითი დადასტურების საფუძველზე.

7. (ამოღებულია – 17.05.2013, №117).

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 16.06.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №117 – ვებგვერდი, 2 1 .05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №270 – ვებგვერდი, 23.10.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №26 6 – ვებგვერდი, 0 7 .04.2014წ.

მუხლი 6. ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გამცემი ორგანოები ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

მუხლი 7. ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურისა და ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა გაიცემა ერთი თვის ვადით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

მუხლი 9. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმება ხორციელდება „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 11. სანებართვო რეესტრი

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ უწყებრივი სანებართვო რეესტრი „ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად.

დანართი № 1

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 ივლისის დადგენილება №439 – ვებგვერდი, 09.07.2014წ.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია ტრანზიტის დროს

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება	განმარტებები
1	2	3
01 ჯგუფიდან	**ცოცხალი ცხოველები**	
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები, ცოცხალი	ყველა
0102	მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი	ყველა
0103	ღორები, ცოცხალი	ყველა
0104 10	ცხვრები, ცოცხალი	ყველა
0104 20	თხები, ცოცხალი	ყველა
0105	შინაური ფრინველი, ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები	ყველა
0106	ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:	ყველა
0106 11 00	პრიმატები	ყველა
0106 12 00	ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები Cetacea რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები Sirenia რიგისა); სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები	ყველა

	(ძუძუმწოვრები Pinnipedia ქვერიგისა)	
0106 13	აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი (Camelidae)	ყველა
0106 14	ბოცვრები და კურდღლები	ყველა
0106 14 10	ბოცვრები შინაური	ყველა
0106 14 90	დანარჩენი	ბოცვერი და კურდღელი, შინაური ბოცვრის გარდა
0106 19	დანარჩენი	ყველა ძაღლებისა და კატების გარდა
0106 20 00	რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0106 31 00	მტაცებელი ფრინველები	ყველა
0106 32 00	თუთიყუშისებრნი (თუთიყუშების, არასა და კაკადუს ჩათვლით)	თუთიყუშები, გრძელკუდა თუთიყუშები, არასა და კაკადუს ჩათვლით
0106 33	სირაქლემები; ემუ (Dromaius novaehollandiae)	ყველა
0106 39	დანარჩენი	ფრინველები, 0105, 0106 31 00, 0106 32 00 და 0106 33 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს მტრედებს
0106 41	ფუტკრები	ყველა
0106 49	დანარჩენი	დანარჩენი მწერები, ფუტკრების გარდა
0106 90	დანარჩენი	ყველა სხვა ცოცხალი ცხოველი, რომლებიც არ შედიან სხვა სასაქონლო პოზიციაში, ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და რეპტილიების გარდა. მოცემულ სასაქონლო პოზიციაში შედიან ცოცხალი ბაყაყები, იმის მიუხედავად, არიან ისინი ვივარიუმში ცოცხლად შენახვისათვის, თუ საკლავად - ადამიანის მოხმარებისთვის
02 ჯგუფიდან	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**	
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული	ყველა
0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული	ყველა
0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები,	ყველა

	ახალი, გაცივებული ან გაყინული:	
0208 10	ბოცვრებისა და კურდღლების	ყველა
0208 30 000 00	პრიმატების	ყველა
0208 40	ვეშაპების, დელფინებისა და ზღვის გოჭების (Cetacea რიგის ძუძუმწოვრების); ლამანტინებისა და დიუგონების (Sirenia რიგის ძუძუმწოვრების); სელაპების, ზღვის ლომების და ლომვეშაპების (Pinnipedia რიგის ძუძუმწოვრების)	ყველა
0208 50 000 00	რეპტილიების (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0208 60 000 00	აქლემების და სხვა აქლემებისნაირების (Camelidae)	ყველა
0208 90	დანარჩენი	შინაური მტრედების და ნანადირევის, ბოცვრებისა ან კურდღლების გარდა; მოიცავს ხორცს მწყრების, ჩრდილოეთის ირმების ან ნებისმიერი ძუძუმწოვრის სახეობის
0208 90 700 00	ბაყაყის თათები	ყველა
0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი	ყველა მოიცავს ორივეს: როგორც ქონს, ასევე, გადამუშავებულ ქონს
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან	ყველა მოიცავს ხორცს, ხორცის პროდუქტებს და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს. მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილას და გამხმარ (ხმელ) ღორის ყურებს, ადამიანის მოხმარებისთვის. ძვლები ადამიანის მოხმარებისთვის განსაზღვრულია სასაქონლო კოდით 0506; ძეხვი შედის 1601 00 სასაქონლო კოდში; ხოხოზიკი შედის 2301 სასაქონლო კოდში
05 ჯგუფიდან	**ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი**	
0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით, ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოუჭრელი კიდეებით) და ბუმბული, გაწმენდილი, დეზინფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწილების ფხვნილი და ნარჩენები	ყველა მოიცავს ფრინველის სათამაშო ტროფეებს, გარდა დამუშავებული დეკორატიული ბუმბულისა, დამუშავებული ბუმბული, რომელიც მიეკუთვნება მოგზაურებს (ტურისტებს) პირადი მოხმარებისთვის ან ტვირთი დამუშავებული ბუმბულით, გაგზავნილი კერძო პირების მიერ, არაკომერციული მიზნებისათვის
0511 91	თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოების პროდუქტები; დავარდნილი ცხოველები 03 ჯგუფიდან	ყველა, თევზის ნარჩენების გარდა (სეს ესნ კოდი 0511 91 100 00) თევზის განაყოფიერებული

		ქვირითი, თევზის კრიოდაკონსერვებული სპერმა
0511 99 310 00	ცხოველური წარმოშობის ნატურალური ღრუბლები: დაუმუშავებელი	მხოლოდ, ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
0511 99 390 00	დანარჩენი	მხოლოდ, ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
0511 99 851 00	თუთის აბრეშუმხვევიას გრენა	ყველა
0511 99 852 00	ემბრიონები	ყველა
0511 99 859 00	დანარჩენი	ყველა
41 ჯგუფიდან	**დაუმუშავებელი ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი**	
4101	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით) ან ცხენების ოჯახის ცხოველების დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4102	ცხვრის ან ბატკნის დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), მატყლის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლური და ტიბეტური ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლების ან ძაღლების უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ,

		გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4103	სხვა დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლური და ტიბეტური ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლების ან ძაღლების უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
95 ჯგუფიდან	**სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები**	
9508 10 000 00	მოძრავი ცირკები და მოძრავი სამხეცეები	მხოლოდ, ცოცხალი ცხოველები
9508 90 000 00	დანარჩენი	მხოლოდ, ცოცხალი ცხოველები

შენიშვნა:

ნებართვა არ ესაჭიროება ლაბორატორიული, სასწავლო და სამეცნიერო მიზნით განკუთვნილ ცხოველებს და საკვლევ მასალას.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №117 – ვებგვერდი, 2 1 .05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 ივლისის დადგენილება №439 – ვებგვერდი, 09.07.2014წ.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია იმპორტის დროს

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება	განმარტებები

1	2	3
01 ჯგუფიდან	**ცოცხალი ცხოველები**	
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები, ცოცხალი	ყველა
0102	მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი	ყველა
0103	ღორები, ცოცხალი	ყველა
0104 10	ცხვრები, ცოცხალი	ყველა
0104 20	თხები, ცოცხალი	ყველა
0105	შინაური ფრინველი, ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები	ყველა
0106	ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:	ყველა
0106 11 00	პრიმატები	ყველა
0106 12 00	ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები Cetacea რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები Sirenia რიგისა); სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები (ძუძუმწოვრები Pinnipedia ქვერიგისა)	ყველა
0106 13	აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი (Camelidae)	ყველა
0106 14	ბოცვრები და კურდღლები	ყველა
0106 14 10	ბოცვრები შინაური	ყველა
0106 14 90	დანარჩენი	ბოცვერი და კურდღელი, შინაური ბოცვრის გარდა
0106 19	დანარჩენი	ყველა ძაღლებისა და კატების გარდა
0106 20 00	რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0106 31 00	მტაცებელი ფრინველები	ყველა
0106 32 00	თუთიყუშისებრნი (თუთიყუშების, არასა და კაკადუს ჩათვლით)	თუთიყუშები, გრძელკუდა თუთიყუშები, არასა და კაკადუს ჩათვლით
0106 33	სირაქლემები; ემუ (Dromaius novaehollandiae)	ყველა
0106 39	დანარჩენი	ფრინველები, 0105, 0106 31 00, 0106 32 00 და 0106 33 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს მტრედებს
0106 41	ფუტკრები	
0106 49	დანარჩენი	დანარჩენი მწერები, ფუტკრების გარდა
0106 90 00	დანარჩენი	ყველა სხვა ცოცხალი ცხოველი, რომლებიც არ შედიან სხვა სასაქონლო პოზიციაში, ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და რეპტილიების გარდა. მოცემულ სასაქონლო პოზიციაში შედიან ცოცხალი ბაყაყები, იმის მიუხედავად, არიან ისინი ვივარიუმში ცოცხლად შენახვისათვის, თუ საკლავად - ადამიანის მოხმარებისთვის

02 ჯგუფიდან	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**	
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული	ყველა
0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული	ყველა
0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0204	ხორცი ცხვრის ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორები ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული:	ყველა
0208 10	ბოცვრებისა და კურდღლების	ყველა
0208 30 000 00	პრიმატების	ყველა
0208 40	ვეშაპების, დელფინებისა და ზღვის გოჭების (Cetacea რიგის ძუძუმწოვრების); ლამანტინებისა და დიუგონების (Sirenia რიგის ძუძუმწოვრების); სელაპების, ზღვის ლომების და ლომვეშაპების (Pinnipedia რიგის ძუძუმწოვრების)	ყველა
0208 50 000 00	რეპტილიების (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0208 60 000 00	აქლემების და სხვა აქლემებისნაირების (Camelidae)	ყველა
0208 90	დანარჩენი:	
0208 90 100 00	შინაური მტრედების	ყველა
	ნანადირევის, ბოცვრების ან კურდღლების გარდა	ყველა
0208 90 200 00	მწყერების	ყველა
0208 90 400 00	დანარჩენი	ყველა
0208 90 550 00	ხორცი სელაპების	ყველა
0208 90 600 00	ჩრდილოეთის ირმების	ყველა
0208 90 700 00	ბაყაყის თათები	ყველა
0208 90 950 00	დანარჩენი	ყველა
0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი	ყველა მოიცავს როგორც ქონს, ასევე, გადამუშავებულ ქონს
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან	ყველა მოიცავს ხორცს, ხორცის პროდუქტებს და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს. მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილას

		და გამხმარ (ხმელ) ღორის ყურებს ადამიანის მოხმარებისთვის. ძვლები ადამიანის მოხმარებისთვის განსაზღვრულია სასაქონლო კოდით 0506; ძეხვი შედის 1601 00 სასაქონლო კოდში; ხოხოზიკი შედის 2301 სასაქონლო კოდში
03 ჯგუფიდან	**თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები**	
0301	ცოცხალი თევზი	ყველა მოიცავს კალმახს, გველთევზებს, კობრს და იმპორტისათვის განკუთვნილ სხვა ნებისმიერი სახეობის თევზებს, მოშენებისთვის ან გამრავლებისთვის
	დეკორატიული თევზი	
0301 11 000 00	მტკნარი წყლის თევზი	ყველა
0301 19 000 00	დანარჩენი	ყველა
0302	თევზი ახალი ან გაცივებული, თევზის ფილესა და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის სხვა ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, ახალს ან გაციებულს სასაქონლო კოდით 0302 90 000 00
0303	თევზი გაყინული, თევზის ფილეს და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, გაყინულს, სასაქონლო კოდით 0303 90
0304	თევზის ფილე და თევზის ხორცი დანარჩენი (ფარშის ჩათვლით), ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0305	თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: თევზი ცივად ან ცხლად შებოლილი; თევზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები, საკვებად ვარგისი	ყველა მოიცავს სხვა თევზის პროდუქტებს, როგორებიცაა, ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები, საკვებად დამზადებული. მოიცავს თევზის თავებს, კუდებს და სხვა მეთევზეობის პროდუქტებს
0306	კიბოსნაირნი, ბაკანში ან ბაკნის გარაშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; კიბოსნაირნი შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომლებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; კიბოსნაირნი ბაკანში, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, გაცივებული ან გაუცივებელი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, საკვებად გამოსაყენებლი	ყველა
0307	მოლუსკები, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში;	მოიცავს მოლუსკებს მოხარშულსა და შემდეგ შებოლილს. სხვა მოხარშული მოლუსკები შედის

	მოლუსკები შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომლებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები მოლუსკებისგან, საკვებად გამოსაყენებელი	1605 სასაქონლო კოდში
0308	წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, შებოლილები, რომლებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოსაყენებელი	ყველა
04 ჯგუფიდან	**რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი**	
0401	რძე და ნაღები, შეუსქელებელი და შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე	ყველა რძე: მოიცავს უმ (დაუმუშავებელ) რძეს, პასტერიზებულს ან თერმულად დამუშავებულს, მათ შორის, გაყინული. მოიცავს რძის ფრაქციებს. რძე ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი არის დაფარული ამ სასაქონლო პოზიციით, ხოლო ცხოველის საკვები რძის შემცველობით დაფარულია სასაქონლო კოდით 2309. რძე თერაპიული/პროფილაქტიკური მიზნებისათვის არის დაფარული სასაქონლო კოდით 3001
0402	რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით	ყველა მათ შორის, რძე ახალშობილებისთვის
0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს ნაღებს (კრემს), არომატიზებულს ან ხილის შემცველს, გაყინულ და ფერმენტირებულ რძეს, ადამიანის მოხმარებისთვის (საკვებად). ნაყინი არის დაფარული სასაქონლო კოდით 2105 00. სასმელები რძის შემცველი, კაკაოს ან სხვა ნივთიერებების დამატებით, დაფარულია სასაქონლო კოდით 2202
0404	რძის შრატი, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე; პროდუქტები რძის ნატურალური კომპონენტებისაგან, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	ყველა მოიცავს რძის პროდუქტებს ჩვილი ბავშვებისათვის. მოიცავს სასაქონლო კოდს 0404 10 480 00 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხსენი, თხევადი ფორმით, ცხიმგამოცლილი და კაზეინის გარეშე, ადამიანის საკვებად, ხოლო სასაქონლო კოდი 0404 90 210 00 სწრაფად გამომშრალი

		ხსენი შემცირებული ცხიმით, ფხვნილი კაზეინის გარეშე, ადამიანის მოხმარებისთვის
0405	კარაქი და რძის სხვა ცხიმები და ზეთები; რძის პასტები	ყველა მოიცავს რძის პასტებს
0406	ყველი და ხაჭო	ყველა
0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული	ყველა
	ინკუბირებისათვის:	ყველა
0407 11 000 00	შინაური ქათმის (Gallus domesticus)	ყველა
0407 19	დანარჩენი	ყველა
	კვერცხი ახალი, დანარჩენი	ყველა
0407 21 000 00	შინაური ქათმის (Gallus domesticus)	ყველა
0407 29	დანარჩენი	ყველა
0407 90 000 00	დანარჩენი	სხვა კვერცხი ადამიანის საკვებად ვარგისი ან გამოუსადეგარი
0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს კვერცხის პროდუქტებს, რომლებიც არის ან არ არის სითბურად დამუშავებული და არ გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის
0409 00 000 00	ნატურალური თაფლი	ყველა
0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი	ყველა მოიცავს „ფუტკრის რძეს“ და პროპოლისს-დინდგელს (გამოიყენება ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაში და საკვებ დანამატებში) და სხვა ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებს ადამიანის საკვებად გამოსაყენებელს, გარდა ძვლებისა (რომლებიც დაფარულია 0506 კოდით). ასევე, მოიცავს მწერებს ან მწერის კვერცხს, რომელიც ადამიანის საკვებად არის განკუთვნილი
05 ჯგუფიდან	**ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი**	
0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით, ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოუჭრელი კიდეებით) და ბუმბული, გაწმენდილი, დეზინფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწილების ფხვნილი და ნარჩენები	ყველა მოიცავს ფრინველის სათამაშო ტროფეებს, გარდა დამუშავებული დეკორატიული ბუმბულისა, რომელიც მიეკუთვნება მოგზაურებს (ტურისტებს) პირადი მოხმარებისთვის ან ტვირთი დამუშავებული ბუმბულით, გაგზავნილი კერძო პირების მიერ, არაკომერციული მიზნებისათვის
0510 00 000 00	ამბრა რუხი, თახვის ყაირი, ცივეტა და მუშკი; ცოფის ბუზი; ნაღველი, მათ შორის, გამხმარი; ცხოველური წარმოშობის ჯირკვლები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოიყენებიან ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაში, ახალი, გაცივებული, გაყინული ან სხვა ხერხით დამუშავებული, ხანმოკლე შენახვისათვის	თანმდევი პროდუქტები ცხოველთა საკვების საწარმოებლად, შინაური ცხოველის საკვების ჩათვლით, აგრეთვე, ფარმაცევტული და სხვა ტექნიკური პროდუქტების საწარმოებლად

0511 91	თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოების პროდუქტები; დავარდნილი ცხოველები 03 ჯგუფიდან	ყველა თევზის ნარჩენების გარდა (სეს ესნ კოდი 0511 91 100 00), თევზის განაყოფიერებული ქვირითი, თევზის კრიოდაკონსერვებული სპერმა
0511 99 310 00	ცხოველური წარმოშობის ნატურალური ღრუბლები: დაუმუშავებელი	მხოლოდ, ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
0511 99 390 00	დანარჩენი	მხოლოდ, ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
0511 99 851 00	თუთის აბრეშუმხვევიას გრენა	ყველა
0511 99 852 00	ემბრიონები	ყველა
0511 99 859 00	დანარჩენი	ყველა
12 ჯგუფიდან	**ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი**	
1213 00 000 00	ჩალა და ბზე მარცვლეულისა, დაუმუშავებელი, დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი, დაფქვილი ან დაუფქველი, დაპრესილი ან გრანულების ფორმით	მოიცავს, მხოლოდ, ჩალას
1214 90	დანარჩენი	მოიცავს, მხოლოდ, თივას
15 ჯგუფიდან	**ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები**	
1501	ღორის ქონი (ლიარდის ჩათვლით) და შინაური ფრინველის ქონი, 0209 ან 1503 სასაქონლო პოზიციის ქონის გარდა	ყველა
1502	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრებისა ან თხების ცხიმი, 1503 სასაქონლო პოზიციის ცხიმის გარდა	ყველა
16 ჯგუფიდან	**მზა კვების პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან**	
1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე	ყველა მოიცავს სხვადასხვა ფორმის ხორცის დაკონსერვებულ პროდუქტებს
1602	მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან დანარჩენი	ყველა მოიცავს სხვადასხვა ფორმის ხორცის დაკონსერვებულ პროდუქტებს
1603 00	ექსტრაქტები და წვენები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	ყველა მოიცავს თევზის ცილას გელის ფორმით, გაციებულს ან გაყინულს
1604	მზა ან დაკონსერვებული თევზი; ზუთხის ხიზილალა და მისი შემცვლელები, დამზადებული თევზების ქვირითის	ყველა მოხარშული კულინარული პროდუქტი, რომელიც შეიცავს

	მარცვლებისაგან	ნარევს თევზის ან ზღვის პროდუქტების
1605	მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	ყველა მათ შორის, სრულად მომზადებული ან წინასწარ მომზადებული ლოკოკინები. დაფარულია დაკონსერვებული კიბოსნაირნი, ან სხვა უხერხემლოები
23 ჯგუფიდან	**კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისათვის**	
2301	ფქვილი წმინდად და უხეშად დაფქული და გრანულები ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოუყენებადი; ხოხოზიკი	ყველა მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილებს საკვებად გამოუყენებადი, ხორცი საკვებად გამოუყენებადი, ხოხოზიკი საკვებად გამოუყენებადი
30 ჯგუფიდან	**ფარმაცევტული პროდუქცია**	
3002	სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა, მომზადებული თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნებით გამოსაყენებლად; იმუნური შრატები და სისხლის დანარჩენი ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით; ვაქცინები, ტოქსინები, მიკროორგანიზმების კულტურები (საფუარების გარდა) და ანალოგიური პროდუქტები:	მხოლოდ, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი
3002 10 100 00	იმუნური შრატები	იმუნური შრატები, სისხლის სხვა ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით. იმუნური შრატები, მხოლოდ, ცხოველური წარმოშობის. გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 10 910 00	ჰემოგლობინი, სისხლის გლობულინები და შრატის გლობულინები	როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით. მხოლოდ, ცხოველისგან მიღებული მასალა
3002 10 990 00	დანარჩენი	სისხლის ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით-ადამიანური წარმოშობის გარდა. მხოლოდ, ცხოველისგან მიღებული მასალა
3002 90 300 00	ცხოველების სისხლი, დამზადებული პროფილაქტიკური, თერაპიული ან დიაგნოსტიკური მიზნებისათვის	ყველა
3002 90 500 00	მიკროორგანიზმების კულტურები	პათოგენები და პათოგენების კულტურები
3002 90 900 00	დანარჩენი	პათოგენები და პათოგენების კულტურები

41 ჯგუფიდან	**დაუმუშავებელი ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი**	
4101	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით) ან ცხენების ოჯახის ცხოველების დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4102	ცხვრის ან ბატკნის დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), მატყლის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული, ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლური და ტიბეტური ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლების ან ძაღლების უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4103	სხვა დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლური და ტიბეტური ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების,

		ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლების ან ძაღლების უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება, მხოლოდ, ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
95 ჯგუფიდან	**სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები**	
9508 10 000 00	მოძრავი ცირკები და მოძრავი სამხეცეები	მხოლოდ, ცოცხალი ცხოველები
9508 90 000 00	დანარჩენი	მხოლოდ, ცოცხალი ცხოველები

შენიშვნა:

1. ნებართვა არ ესაჭიროება ლაბორატორიული, სასწავლო და სამეცნიერო მიზნით განკუთვნილ ცხოველებს და საკვლევ მასალას.

2. 30 ჯგუფიდან ნებართვა გაიცემა, მხოლოდ, ვეტერინარული დანიშნილების პროდუქციაზე, ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატის, ჯანმრთელობის სერტიფიკატის ან ანალიზის დოკუმენტის ასლის საფუძველზე.

დანართი № 3

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №117 – ვებგვერდი, 2 1 .05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 ივლისის დადგენილება №439 – ვებგვერდი, 09.07.2014წ.

ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია იმპორტის დროს

სეს ესნ კოდი	**დასახელება**
1	2
ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში; ვარდკაჭაჭას მცენარეები და ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალმები და გადანაწვენები; გარდა სოკოს მიცელიუმისა
ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი საკვები ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	
0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
0702 00 000 00	პომიდორი, ახალი
0703	ხახვი, თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი
0713	პარკოსანი ბოსტნეული, ხმელი, დაჩურჩული, სათესლე, ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი, ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული. გარდა გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული

ჯგუფი 08. საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი. ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	
0805	ციტრუსები, ახალი
0806	ყურძენი, ახალი
0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
ჯგუფი 10. მარცვლოვანები	
1001	ხორბალი და მესლინი
1002	ჭვავი
1003	ქერი
1004	შვრია
1005	სიმინდი
1007	სორგო მარცვლოვანი
ჯგუფი 12. ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები; ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	
1204 00	თესლი სელისა, დაუმსხვრეველი
1205	თესლი რაფსისა, ანუ კოლზისა, დაუმსხვრეველი
1206 00	თესლი მზესუმზირასი, დაუმსხვრეველი
1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დაუმსხვრეველი
1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად
1211- დან	შემდეგი მცენარეების ყვავილის მტვერი: ყვავტყემალა (Amelanchier Med.), იაპონური კომში (Chaenomeles Lindl.), ვაშლანა (Cotoneaster Ehrh.), კუნელი (Crataegus L.), კომში (Cydonia Mill.), იაპონური ზღმარტლი (Eriobotrya Lindl.), ვაშლი (Malus Mill.), ზღმარტლი (Mespilus L.), ჩიტავაშლა (Pyracantha Roem.), მსხალი (Pyrus L.), თამელი(Sorbus L.) და ფოტინია დევიდსონის (Photinia davidiana (Dcne.)
ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი	
4401	სათბობი ხე-ტყე, მორების, კუნძების, როკების, ფიჩხის კონების ან ანალოგიური სახით; ნაფოტი ან ბურბუშელა; ნახერხი და ხის ნარჩენები, აგლომერირებული ან არააგლომერირებული, მორების, ბრიკეტების, გრანულების ან ანალოგიური სახით
4403	ხე-ტყის მასალა დაუმუშავებელი, ქერქიანი, უქერქო ან ნაქურთვნი, ან ტლანქად დაძელვილი ან დაძელვის გარეშე
4404	მერქანი საკასრე; მორები დაპობილი; ხის ხიმინჯები, სარები და ბოძები, წამახული, მაგრამ სიგრძივ დაუხერხავი; ხე-ტყის მასალა ტლანქად გათლილი, მაგრამ გაუჩარხავი, გაუღუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი, გამოსაყენებენლი ხელჯოხების, ქოლგების, ინსტრუმენტების სახელურებისა ან ანალოგიური ნაწარმის დასამზადებლად; მერქანი ქერქგაცლილი და ანალოგიური
4406 10 000 00	ხის შპალები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის, გაუჟღენთავი
4407	ხე-ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით 6 მმ-ზე მეტი.

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის დადგენილება № 106 - ვებგვერდი, 07 .0 3 .2011წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

№ ---------- „-----„ ---------- 201 წ.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა

№ 000000

მიეცა _____

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

იმის თაობაზე, რომ უფლება აქვს მას საქართველოს ტერიტორიის გავლით _____

_____

(სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ადგილები)

_____ გაიტანოს _____

(იმპორტიორი ქვეყანა) (ექსპორტიორი ქვეყანა)

წარმოების სატრანზიტო დანიშნულების საქონელი _____

(საქონლის დასახელება, სეს ესნ კოდი,

_____

წონა, ადგილების რაოდენობა, შეფუთვის სახე, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო №)

ძალა აქვს მხოლოდ ნებართვის ორიგინალს ერთი თვის განმავლობაში, შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატის წარმოდგენისას.

გამცემი ორგანოს დასახელება:
უფლებამოსილი პირი:
ხელმოწერა / / ბ.ა.

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №5

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის დადგენილება № 106 - ვებგვერდი, 07 .0 3 .2011წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

№ ---------- „-----„ ---------- 201 წ.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა
№ 000000

მიეცა _____

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

იმის თაობაზე, რომ მას უფლება აქვს საქართველოში _____

ტრანსპორტით _____

(ტრანსპორტის სახეობა)

_____

(ექსპორტიორი ქვეყანა)

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის _____ გავლით შემოიტანოს

(სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ადგილი)

_____

(საქონლის დასახელება, სეს ესნ კოდი, წონა, ადგილების რაოდენობა, შეფუთვის სახე,

_____

სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი)

ვეტერინარული სერტიფიკატის № _____

(რომლის საფუძველზეც გაიცემა ნებართვა)

ძალა აქვს მხოლოდ ნებართვის ორიგინალს ერთი თვის განმავლობაში, შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატის წარმოდგენისას.

გამცემი ორგანოს დასახელება:
უფლებამოსილი პირი:
ხელმოწერა / / ბ.ა.

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №6

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის დადგენილება № 106 - ვებგვერდი, 07 .0 3 .2011წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ფიტოსანიტარი ულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა N 000000

გაცემულია „ ” _____ 200 წ. ძალაშია „ ” _____ 201 წ. - მდე

ნებართვა გაიცა _____
(იმპორტიორის დასახელება)

საქართველოში _____
(შემოტანის ადგილი)

ექსპორტიორი ქვეყნის დასახელება _____

კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საქონლის შემოტანაზე: _____

_____

_____
(საქონლის დასახელება, სეს ესნ კოდი, წონა, ადგილების რაოდენობა, შეფუთვის სახე, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო №)

1. შემოსატანი კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი თავისუფალი უნდა იყოს შემდეგი საკარანტინო ორგანიზმებისაგან _____

_____

_____

_____

_____

_____

და პასუხობდეს შემდეგ დამატებით მოთხოვნებს: _____

_____

კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანა ნებადართულია შემდეგი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტიდან: _____

2. ამ ნებართვით შემოსატანი კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი გადაზიდულ უნდა იქნეს შემდეგი მარშრუტით: _____

გამცემი ორგანოს დასახელება:
უფლებამოსილი პირი:

ხელმოწერა / / ბ.ა.

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №